გაუფრთხილებლობის და უბედური შემთხვევის გამიჯვნა მედიცინის სისხლის სამართალში

ქეთევან მჭელიშვილი-ჰედრიხი
ალბერტ ლუდვიგის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი (ფრაიბურგი, გერმანია)
ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (იენა, გერმანია)
საქართველოს უნივერისტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: დანაშაულებრივი თვითიმედოვნება, დანაშაულებრივი დაუდევრობა.

მედიცინის მუშაკმა შეიძლება განახორციელოს როგორც დანაშაულებრივი თვითიმედოვნება (სსკ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი), ასევე დანაშაულებრივი დაუდევრობა (სსკ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი).

მედიცინის მუშაკის ქმედების გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციისათვის გასათვალისწინებელია წინდახედულობის ნორმის და ასევე სუბიექტური მასშტაბი – ის, თუ რამდენად შეეძლო კონკრეტულ ექიმს ამ კონკრეტულ მომენტში კანონის მოთხოვნების დაცვა.

გაუფრთხილებლობის დასჯადობისას ყურადღება ექცევა ასევე მიზეზობრივ კავშირს ექიმის გაუფრთხილებელ ქმედებას (მოქმედებასა და უმოქმედობას) და შედეგს შორის, რომლის დასასაბუთებლად რეალობასთან ახლოს მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხი, 99,9% არის აღიარებული. შესაბამისად, როდესაც ეს მიზეზობრიობა ვერ დგინდება ექიმის გაუფრთხილებელ ქმედებასა და შედეგს შორის, წარმოიშობა

ხარვეზები დასჯადობაში, რადგან გაუფრთხილებელი მცდელობა არ არსებობს.

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში სტრუქტურის განვითარების სამართლებრივი ასპექტები XVIII-XX საუკუნეებში

მანანა ხვედელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური სტრუქტურა, საკანონმდებლო ნორმები.

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა 60-მდე სახელმწიფოს მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურის განვითარების სამართლებრივი ასპექტები. XVIII – XX საუკუნეებში მიღებული კონსტიტუციების სტუქტურული ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, გავაანალიზოთ როგორ ხდებოდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისა და ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით კონსტიტუციური ინსტიტუტების შექმნა, დამკვიდრება და განვითარება, იმ ფონზე, რომ სამართლის წყაროთა შორის უზრუნველყოფილიყო კონსტიტუციის უზენაესობა. საინტერესოა, როგორ აისახებოდა სახელმწიფოთა ძირითად კანონის სტრუქტურაში კონსტიტუციური ნორმები, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მი-